



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

ევროკავშირის სწრაფვა ენერჯის დივერსიფიკაციისკენ: სამხრეთის გაზის დერეფნის შეზღუდვები

ლელა კანკაძე¹

მოკლე შინაარსი

წლევიანდელი რუსული აგრესიისა და 24 თებერვალს მისი უკრაინაში შეჭრის ფონზე, ევროკომისია ყურადღებას ამახვილებს ენერჯის ძირითად ალტერნატიულ მომწოდებლებზე, ერთ-ერთი ასეთია აზერბაიჯანი, რომლის რეზერვებსაც, სავარაუდოდ, შეუძლია ჩაანაცვლოს ევროპის მთლიანი გაზის იმპორტის 4-5% (მურადოვი 2022).

სამხრეთის გაზის დერეფნის ინიციატივა² ახლა ისევ ყურადღების ცენტრშია და ფართოდ საჯაროდ განიხილება, რადგან ევროპა მისი სწრაფვის ენერგომარაგების გამრავალფეროვნებისკენ, რუსულ გაზზე მისი მზარდი დამოკიდებულების დეესკალაციის მიზნით. თუმცა სამხრეთი გაზის დერეფანს არ აქვს საკმარისი პოტენციური სრულად უზრუნველყოს ევროკავშირის ენერგომარაგება შაჰ-დენიზის გაზის საბადოს

¹ ევროპის ეკონომიკური კვლევების მეცნიერებათა მაგისტრი (სპეციალიზაცია: ევროპული ეკონომიკური ინტეგრაცია და ბიზნესი), ევროპის კოლეჯი

² SGC (სამხრეთის გაზის დერეფანი) არის ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც აერთიანებს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გრძელ საერთაშორისო ბუნებრივ გაზსადენს. იგი ევროპის ბაზარს გაზს აწვდის კასპიის ზღვიდან და წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დემონსტრირებას ენერგომარაგებისა და დივერსიფიკაციის თვალსაზრისით. SGC მოიცავს შაჰ-დენიზის ბუნებრივი აირის კონდენსატის საბადოს და 3,500 კმ მილსადენს, რომელიც შედგება აზერბაიჯანის იტალიასთან დამაკავშირებელი სამი მონაკვეთისგან: 1) სამხრეთ კავკასიის მილსადენი (SCP), რომელიც მოედინება კასპიის ზღვის შაჰ-დენიზის გაზის საბადოდან და კვეთს აზერბაიჯანსა და საქართველოს. ; 2) ტრანსანატოლიის ბუნებრივი გაზის მილსადენი (TANAP), SGC-ის ყველაზე გრძელი მონაკვეთი, სიგრძით 1811 კილომეტრი, რომელიც გადის თურქეთის 20 პროვინციას; და ბოლოს 3) ტრანსადრიატიკული მილსადენი (TAP), რომელიც გადის ევროპაში და აღწევს საბოლოო დანიშნულების ადგილს იტალიაში (სამხრეთის გაზის დერეფანი n.d., TANAP n.d.)

შეზღუდული სიმძლავრისა³ და საერთაშორისო დამკვირვებლების შეშფოთების გათვალისწინებით, აზერბაიჯანის პოლიტიკურ რეჟიმთან დაკავშირებით. როგორც ევროკომისიის პრეზიდენტის, ურსულა ფონ დერ ლეიენის ბოლო გამოსვლამ გამოავლინა, 2022 წლის ოქტომბერს ევროკავშირმა მიაღწია ბუნებრივი აირის შენახვის შესაძლებლობის 90%-ს და ცვლის რუსული გაზის მკვეთრად შემცირებულ მიწოდებას სხვა პარტნიორებზე მეტად დაყრდნობით, როგორებიცაა ნორვეგია და შეერთებული შტატები (ევროპის კომისია 2022). მნიშვნელოვანია, რომ ამ კონტექსტში აზერბაიჯანზე განსაკუთრებული აქცენტი არ გაკეთებულა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ევროკავშირმა ნამდვილად იცის სამხრეთის გაზის დერეფნის შეზღუდვები. უფრო მეტიც, ამჟამინდელი ენერგო დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავებულია ევროკავშირის მიერ რუსეთისთვის დაწესებული რაოდენობითა და დიაპაზონით უპრეცედენტო სანქციების გამო, რაც გამოწვეულია უკრაინაში მიმდინარე ომის საპასუხოდ. შედეგად, სექტემბრის დასაწყისში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულმა რუსულმა ენერგო კორპორაცია „გაზპრომმა“ განაცხადა Nord Stream 1 მილსადენის დახურვის შესახებ, კრემლმა კი მისი დახურვა განუსაზღვრელი ვადით ოფიციალურად გამოაცხადა, (BBC News. 2022; პავლოვა და კუბანი 2022), რაც ევროპის ენერო კრიზისის ზღვარზე დატოვებას ნიშნავს. აგვისტოს შუა რიცხვებიდან მოყოლებული, ბუნებრივი აირის ფასი შვიდჯერ გაიზარდა და რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია - \$3100 1000 კუბურ მეტრზე, ხოლო ელექტროენერჯის ფასი ოთხჯერ გაიზარდა (The Economist 2022). ამასობაში ევროპულ ოჯახებს უწევთ გაუმკლავდნენ ენერგო რესურსების ფასის ზრდით გამოწვეულ შოკს, რის გამოც აღმოჩნდნენ ერთ-ერთი ყველაზე ცივი და ძვირადღირებული ზამთრის პირისპირ.

ეს მოკლე მიმოხილვა ცდილობს უპასუხოს შემდეგ საკვლევ საკითხებს - რა შეიძლება იყოს სამხრეთის გაზის დერეფნის შეზღუდვები და რამდენად უწყობს ხელს აზერბაიჯანი ევროკავშირის ენერგო დივერსიფიკაციის მიზნის შესრულებას? დოკუმენტი ასევე განიხილავს ევროპის ენერგო სტრატეგიას, აზერბაიჯანის პოლიტიკურ გარემოს და მის შედეგებს სამხრეთ კავკასიის რეგიონულ დინამიკაზე, მის ურთიერთობას სომხეთთან, ასევე საუბარია იმ სარგებელზე რასაც საქართველო მიიღებს როგორც ტრანზიტული ქვეყანა. ბოლოს, სამხრეთის გაზის დერეფნის გამოწვევებისა და შეზღუდვების და მისი სამომავლო პოტენციალის იდენტიფიცირების შემდეგ, პოლიტიკის ნარკვევი აძლევს რეკომენდაციებს ძირითად დაინტერესებულ მხარეებს: ევროკავშირს, აზერბაიჯანსა და საქართველოს.

საკვანძო სიტყვები: აზერბაიჯანი, საქართველო, ევროკავშირი, ენერგია, სამხრეთის გაზის დერეფანი.


³ აზერბაიჯანის ბუნებრივი აირის მოპოვებამ 2021 წელს შეადგინა მხოლოდ 31,8 მილიარდი კუბური მეტრი და ევროპის სხვა ისეთ მსხვილ გაზის მომწოდებლებთან - როგორცაა აშშ (934,2 მილიარდი კუბური მეტრი), რუსეთი (701,7 მილიარდი კუბური მეტრი) და ნორვეგია (114,3 მილიარდი კუბური მეტრი) - შედარებით ბევრად ნაკლები. თუმცა, 2021 წლის მონაცემებით, აზერბაიჯანის გაზის მოპოვების წლიური ზრდის ტემპი (23.3%) ბევრად აღემატება აშშ-ის (2.3%), რუსეთისა (10.4%) და ნორვეგიისას (2.8%) (bp 2022).

შესავალი: ევროპის ენერჯო სტრატეგიის ევოლუცია დღემდე

ევროპა ყოველთვის ხაზს უსვამდა ენერჯის თანმიმდევრული და ფართო მიწოდების აუცილებლობას მისი ეკონომიკისა და უსაფრთხოებისთვის, როგორც ეს აღნიშნულია ევროპის ენერჯეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტში (ევროპის კომისია 2014). კონკურენტუნარიანი, მდგრადი და უსაფრთხო ენერჯომომარაგება ასევე გახლავთ ევროკომისიის ენერჯეტიკული კავშირის სტრატეგიის ხუთი საყრდენიდან ერთ-ერთი, რომელიც წარმოდგენილია 2015 წლის თებერვალში და მიზნად ისახავს კონტინენტის ენერჯომომარაგების საფუძვლიან გარდაქმნას (ევროპის საბჭო და ევროკავშირის საბჭო 2020). გასაკვირი არ არის, რომ ევროპის სისტემატური და გრძელვადიანი პოლიტიკის გამო ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმეტესობას არ ჰქონია სერიოზული შეფერხება ენერჯომომარაგებაში 1970-იანი წლების ნავთობის კრიზისის შემდგომ.

ამასთან, ევროპული მწვანე შეთანხმების შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამბიციურ მრავალსექტორულ პოლიტიკის დოკუმენტს, ევროკავშირი თავს არ ზოგავს 2050 წლისთვის ნულამდე შეამციროს ბუნებაში სათბურის აირების გაფრქვევა. ევროპულმა ბიზნესებმა და ინდუსტრიებმა ამ კუთხით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს და ბოლო 15 წლის განმავლობაში შეამცირეს ემისიები 35%-ზე მეტით (Business Europe 2021). თუმცა მიუხედავად ევროპის დაუღალავი მცდელობებისა მოახდინოს ეკონომიკის დეკარბონიზაცია, ის მაინც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადგილობრივ წიაღისეულ საწვავზე, როგორცაა ნავთობზე დაფუძნებული ენერჯია - და რაც მთავარია, იმპორტულ ბუნებრივ აირზე. ეს უკანასკნელი უზარმაზარ პოლიტიკურ წონას ატარებს, რადგან დღევანდელი ენერჯო კრიზისი არა მხოლოდ ევროპული არამედ გლობალური მოვლენაა, რომელიც აყალიბებს ქვეყნების საგარეო პოლიტიკას. (იხ. სურათი 1)

სურათი 1. ევროკავშირის ენერჯო მიქსი



წყარო: ევროსტატი

ბოლო დრომდე რუსეთი სარგებლობდა ევროპის ბუნებრივი აირისა და ნავთობის მთავარი მიმწოდებლის პოზიციით. 2020 წელს ევროპის ნედლი ნავთობის იმპორტის საშუალოდ 29% რუსეთიდან მოდიოდა (Eurostat n.d.), ხოლო 2022 წლის პირველ კვარტალში ევროკავშირმა თავისი ბუნებრივი აირის თითქმის 60%-ის იმპორტი მოახდინა Nord Stream 1 მილსადენით (Statista 2022). ეს მაჩვენებელი მას შემდეგ მკვეთრად დაეცა და ბოლო სამი თვის განმავლობაში რუსული გაზის იმპორტი კვირაში 1,2 მილიარდიდან 62 მილიონ კუბურ მეტრამდე შემცირდა 2022 წლის სექტემბრის დასაწყისში (ibid.). თუმცა, ზემოთ ხსენებული მკვეთრი ცვლილებები შესაძლებლობას აძლევს აზერბაიჯანს უახლოეს მომავალში ორჯერ გაზარდოს ევროპაში გაზის ექსპორტიორ მხარეს შორის ახალი შეთანხმების საფუძველზე, ხოლო საქართველოს კი, როგორც სამხრეთის გაზის დერეფნის პარტნიორ და სატრანზიტო ქვეყანას, მოიპოვოს დამატებითი სარგებელი.

არის თუ არა საკმარისი სამხრეთის გაზის დერეფანი? გამოწვევების იდენტიფიცირება მომავლის მოლოდინში

სამხრეთის გაზის დერეფნის ინიციატივა, რომელიც პირველად 2008 წელს დაინერგა, საშუალებას აძლევს ევროპას გარკვეულწილად დივერსიფიკაცია გაუწიოს რუსეთის ენერგომომარაგებას კასპიის რეგიონიდან მოპოვებული გაზით, რის შედეგადაც ევროპა ნაკლებად დამოკიდებული იქნება რუსეთის ენერგიაზე.

2022 წლის 4 თებერვალს ბაქოში გამართული სამხრეთის გაზის დერეფნის მრჩეველთა საბჭოს მე-8 მინისტრიალმა გამოაცხადა ევროკავშირისა და აზერბაიჯანის მზადყოფნა ჩამოაყალიბონ ორმხრივი სტრატეგიული ენერგეტიკული პარტნიორობა და უზრუნველყონ ევროპისთვის ენერგომომარაგების უსაფრთხოება. ამან განაპირობა 2022 წლის 18 ივლისს ბაქოში ახალი ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერა ენერგეტიკის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ (ევროკომისია 2022). ახალი შეთანხმების თანახმად, კომისია იღებს ვალდებულებას სამხრეთის გაზის დერეფნის მეშვეობით 2027 წლისთვის გააორმაგოს გაზის იმპორტი. აზერბაიჯანმა გასული წლის განმავლობაში უკვე 48%-ით გაზარდა საკუთარი ტრანსფერები შაკ-დენიზის გაზის საბადოდან ევროპაში, ხოლო უახლოეს ხუთ წელიწადში მოსალოდნელია მინიმუმ 20 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ექსპორტი, რაც 2021 წელთან შედარებით 147%-იანი ზრდაა (ibid.). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებლები შთამბეჭდავად გამოიყურება, ისინი მაინც ვერ შეედრება ევროპის იმპორტს სხვა დიდი ენერო მიმწოდებლებისგან, როგორცაა აშშ ან ნორვეგია; უფრო მეტიც, ევროკავშირის მთლიანი ბუნებრივი აირის მოხმარებამ 2021 წელს შეადგინა 397 მილიარდი კუბური მეტრი (Statista 2022) - მხოლოდ აზერბაიჯანული გაზით კი შეუძლებელია მსგავსი მოთხოვნის დაკმაყოფილება. უფრო ფართო კონტექსტში, სამხრეთის გაზის დერეფან-ს, რომლის მშენებლობას შვიდი წელი დასჭირდა და სრულად ამოქმედდა 2020 წლის ბოლოს (BP 2021), აქვს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური როლი და პირდაპირ გავლენას ახდენს საქართველოზე, როგორც სატრანზიტო ქვეყანაზე. საქართველო თავის ტერიტორიაზე 249

კილომეტრის გავლით შაჰდენიზის საბადოდან თურქეთ-საქართველოს საზღვრამდე ყოველწლიურად 7,41 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს ატარებს. (სამხრეთის გაზის დერეფანი n.d.). გარდა ამისა, 2013 წლიდან საქართველომ მილსადენის მშენებლობის დროს მიიღო დაახლოებით 2 მილიარდი დოლარის კაპიტალის ინვესტიცია, რომლის 20% დაიხარჯა ადგილობრივი მომწოდებლებისგან საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობისთვის შეიქმნა 2000-ზე მეტი სამუშაო ადგილი (BP Georgia 2022). გარდა ამისა, მასპინძელი მთავრობის შეთანხმების თანახმად, საქართველო იღებს SCPX (Caucasus Pipeline Expansion) მილსადენით გადატანილი სატრანზიტო გაზის მოცულობის 5%-ს, რაც ხელს უწყობს მის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას (ibid.).

ევროკავშირისა და აზერბაიჯანის ახალი შეთანხმება გავლენას ახდენს სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ დინამიკაზე სხვა კუთხითაც, მიუხედავად იმისა, რომ იგი ხელს უწყობს საქართველო-აზერბაიჯანის პარტნიორობის გაღრმავებას, ის პოტენციურად დამატებით ტვირთად ედება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ისედაც დაძაბულ ურთიერთობებს. კერძოდ, 18 ივლისის შეთანხმებას დიდი კრიტიკა მოჰყვა სომხეთში და ზოგიერთი ექსპერტი ევროკავშირის წარმომადგენლებს ორმაგი სტანდარტების გამოვლენაში ადანაშაულებს. ევროკავშირმა არ მიიღო იგივე მიდგომა გაზის იმპორტის დაგმობის შესახებ (რომელიც სავარაუდოდ გამოიყენებოდა 2020 წელს ყარაბაღის ომის დასაფინანსებლად), როგორც ეს გააკეთა რუსეთის შემთხვევაში, რომლის გაზის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი ინვესტიციაა უკრაინის წინააღმდეგ სამხედრო ქმედებებში (CIVILNET 2022).

უფრო მეტიც, მაშინ როდესაც კომისიის პრეზიდენტი ფონ დერ ლაიენი აზერბაიჯანს აღწერს, როგორც „ევროკავშირის ძალიან სანდო ახალ ენერგო პარტნიორს“, სხვა დამკვირვებლებმა ყურადღება გაამახვილეს ადამიანის უფლებების სფეროში არსებულ პრობლემებზე და ისინი თვლიან, რომ აზერბაიჯანი ამ მხრივ დიდად არ განსხვავდება რუსეთისგან. Freedom House-ი აზერბაიჯანს კონსოლიდირებულ ავტორიტარულ რეჟიმს უწოდებს, რომელსაც მისი პრეზიდენტი ილჰამ ალიევი და მისი ოჯახი თითქმის 19 წელია მართავენ. სხვადასხვა ანგარიშის მიხედვით, ქვეყანას მსოფლიოში აფასებენ, როგორც არათავისუფალს მრავალი კომპონენტის მიხედვით, როგორცაა პოლიტიკური უფლებები და სამოქალაქო თავისუფლებები. Freedom House-ის ანგარიშში „თავისუფლება მსოფლიოში“ მას მიენიჭა მხოლოდ ერთი დემოკრატიის პროცენტული რეიტინგი 100-დან, რაც აზერბაიჯანს აქცევს ყველაზე ნაკლებად დემოკრატიულს გარდამავალ ქვეყნებს შორის (Freedom House 2022, 22). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ განსხვავებულ ვითარებაში სანამ ევროკავშირი გააღრმავებდა პარტნიორობას და დაეყრდნობოდა სამხრეთის გაზის დერეფანს ენერგო დივერსიფიკაციის მიზნით, იგი აზერბაიჯანს პირობითად წაუყენებდა რიგ მოთხოვნებს. ევროკავშირს შესაძლოა მოეთხოვა კიდევ დიდი რაოდენობით პოლიტპატიმრების განთავისუფლება და ზოგადად ადამიანის უფლებების და დემოკრატიის სფეროში წინ გადადგმული ნაბიჯები. ზემოთ ხსენებულ საკითხებზე წუხილის აშკარა ნაკლებობამ შეიძლება მიუთითოს იმაზე, თუ რამდენად შეზღუდულია ევროპა ენერჯის მიმწოდებლების არჩევისას. არსებობს პრეცედენტი იმისა, რომ რუსეთის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის ხანგრძლივი ისტორიის მიუხედავად, მან განაგრძო გაზის ექსპორტი ევროკავშირში, ყოველგვარი შეფერხების გარეშე, მანამდე სანამ დაარღვევდა საერთაშორისო სამართლის პრინციპებს და წამოიწყებდა უკანონო ომი უკრაინაში. და ბოლოს, როგორც უკვე ვახსენეთ ევროპა დაუღალავად ცდილობს მოახდინოს

ენერგო მიქსის დივერსიფიცირება და დაასრულოს მისი დამოკიდებულება რუსულ გაზზე, გაზარდოს საკუთარი რესურსები სხვადასხვა ალტერნატიული მომწოდებლებისგან ბუნებრივი აირის დაგროვების გზით.

თუმცა, შეიძლება თუ არა სამხრეთის გაზის დერეფანი იყოს ერთადერთი ალტერნატივა, კვლავაც საეჭვოა დარადგან აზერბაიჯანის ამჟამინდელი საექსპორტო სიმძლავრე ძალიან დაბალია. იგი უნდა გაერთიანდეს ბუნებრივი გაზის სხვა წყაროებთან, ან უნდა განხორციელდეს მნიშვნელოვანი შუალედური ინვესტიციები სიმძლავრის გაზრდის მიზნით, რათა უზრუნველყოს ევროპისთვის გაზის საკმარისი და სტაბილური მიწოდება. შედარებისთვის, ახლა შეჩერებული Nord Stream 2 მილსადენი გათვალისწინებული იყო ევროპისთვის 110 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიწოდებით, რაც ორჯერ მეტია, ვიდრე თავდაპირველი Nord Stream 1 მილსადენი რუსეთიდან (Congressional Research Service 2022). ამავდროულად, TANAP-ის ფაქტობრივი წლიური ბუნებრივი აირის გადაცემის სიმძლავრე 16 მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენს, აქედან ექვს მილიარდს თურქეთი მოიხმარს, ხოლო დანარჩენი ათი მილიარდი კუბური მეტრი ევროპაში ტრანსპორტირდება TAP-ის (NS Energy n.d.) მეშვეობით. თუმცა, აზერბაიჯანი ამჟამად აქტიურად არის ჩართული ირანთან და თურქმენეთთან სამხრეთი გაცვლის შეთანხმებებში და, 2022 წლის 1 იანვრის შეთანხმების თანახმად, უფლება აქვს მიიღოს ყოველწლიურად ორი მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი, რათა დააკმაყოფილოს მისი მზარდი საექსპორტო მოთხოვნა და საკუთარი გაზის მოხმარება. (Business Turkmenistan 2022). ამიტომ საეჭვოა, რომ აზერბაიჯანი მხოლოდ შაჰ-დენიზის გაზის საბადოდან მიწოდებაზე იყოს დამოკიდებული. შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთი გაზის დერეფანი ვერ იქნება ევროპისთვის საყრდენი და Nord Stream-ის გაზის ჩამანაცვლებელი, სხვა ისეთი ალტერნატიული მომწოდებლების განხილვის გარეშე, როგორებიცაა ნორვეგია ან შეერთებული შტატები.

დასკვნა და რეკომენდაციები

სამხრეთის გაზის დერეფანი იყო აკადემიური კვლევის საგანი 2008 წლის წინადადების შემდეგ, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მის პოტენციალზე, საგზაო რუკაზე არსებულ გამოწვევებზე და მის მომავალზე გახდეს საიმედო ბუნებრივი აირის წყარო ევროპული ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით ამჟამინდელი ენერგო კრიზისის გათვალისწინებით. ამრიგად, ბოლოდროინდელმა გეოპოლიტიკურმა მოვლენებმა ევროპასა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში ყურადღების ცენტრში მოაქცია სამხრეთის გაზის დერეფანი. ასე რომ, ეს დოკუმენტი ცდილობს განიხილოს მისი ახალი მნიშვნელობა უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიის და ევროკავშირისა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთთანამშრომლობის ახალი მემორანდუმის ხელმოწერის გათვალისწინებით. ძირითადი დასკვნების საფუძველზე სავარაუდოა რომ, მიუხედავად მისი შესაძლებლობების ლიმიტებისა, სამხრეთის გაზის დერეფნის პროექტს ჯერ კიდევ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დინამიკაზე. კერძოდ, ერთი მხრივ, ის ხელს უწყობს აზერბაიჯანის სამომავლო ურთიერთობების

გაღრმავებას ევროკავშირთან და სარგებელს მოუტანს საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას. მეორე მხრივ, ბაღებს ეჭვს, რომ ევროკავშირს აქვს ორმაგი სტანდარტები საგარეო პოლიტიკაში ენერგეტიკული დივერსიფიკაციის სტრატეგიასთან დაკავშირებით და ეს კიდევ უფრო ამწვავებს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტს.

და ბოლოს, SGC-ის პოტენციალისა და მასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ, ზემოთ მოცემულ ანალიზზე დაყრდნობით, ეს პოლიტიკის ნარკვევი დაინტერესებულ მხარეებს სთავაზობს შემდეგ რეკომენდაციებს:

აზერბაიჯანის მთავრობას:

- გამოიყენოს შესაძლებლობა რომელიც EU-აზერბაიჯანის გაზის შეთანხმებით გაჩნდა და იმუშავოს ევროპასთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებაზე რათა უახლოეს მომავალში შესაძლებელი იყოს ხელი მოეწეროს ასოცირების შეთანხმებას (AA) და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას (FTA) რათა მიიღოს უამრავი სარგებელი რაც მოაქვს ევროინტეგრაციას, მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკურ ურთიერთობებს;
- როგორც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა, მისრაფოდეს მიაღწიოს ეროვნულ კანონმდებლობაში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას, განსაკუთრებული აქცენტით ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვაზე, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის შენარჩუნებასა და ხელშეწყობაზე, ევროკავშირის AA-ს ინიცირებაზე გავლენის მოხდენის სტიმულითა და მოლაპარაკებებით.

საქართველოს მთავრობას:

- გააძლიეროს თავისი პოზიციები, როგორც სატრანზიტო პარტნიორმა ქვეყანამ სამხრეთის გაზის დერეფნის პროექტში და იმუშავოს სხვა პარტნიორებთან, როგორცაა აზერბაიჯანი და თურქეთი, განახორციელოს ინვესტიციები კვლევებსა და ინფრასტრუქტურაში მილსადენის სიმძლავრის სრულად გაზრდის მიზნით - რაც უფრო მეტი გაზი გაივლის საქართველოს ტერიტორიაზე, მით მეტი ენერგოუსაფრთხოება და შემოსავალი ექნება ქვეყანას;
- კიდევ ერთხელ დაადასტუროს პარტნიორობა და თანამშრომლობა აზერბაიჯანთან და თურქეთთან, როგორც ძლიერმა აქტორმა სამხრეთის გაზის დერეფნის პროექტში და სხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში, რომლებიც განაპირობებენ რეგიონულ დინამიკას, რადგან საქართველოს აქვს ამბიცია უახლოეს მომავალში გახდეს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა.

ევროკომისიას:

- შეინარჩუნოს თანმიმდევრული საგარეო პოლიტიკა და იმოქმედოს, ევროკავშირის ღირებულებების შესაბამისად პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთიერთობის დროს,

მაშინაც კი, როდესაც უწევს მკაცრი ქმედებების გატარება რუსული გაზისგან თავის დასაღწევად;

- შეაფასოს აზერბაიჯანის დაბალი დემოკრატიის ქულები, თავისუფლების ნაკლებობა და პოლიტპატიმრების დიდი რაოდენობა და ორმხრივი მემორანდუმის სამომავლო ნაბიჯები დააფუძნოს უფლებადამცველების მიერ გამოთქმული შეშფოთების მიმართ აზერბაიჯანის ხელისუფლების შესაბამის რეაქციაზე და ქმედებებზე წინააღმდეგ შემთხვევაში, გადახედოს აზერბაიჯანთან სამომავლო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავებას.

გამოყენებული ლიტერატურა

- BBC News. 2022. *Russia blames sanctions for gas pipeline shut-down*. ხელმისაწვდომია აქ: <https://www.bbc.com/news/business-62789675#comments>. ბოლოჯერ ნანახია 2022 წლის 29 ნოემბერს
- bp. 2022. "bp Statistical Review of World Energy 2022." ხელმისაწვდომია აქ: <https://www.bp.com/en/global/corporate/energy-economics/statistical-review-of-world-energy.html>. ბოლოჯერ ნანახია 2022 წლის 20 ნოემბერს.
- BP Georgia. 2022. *South Caucasus Gas Pipeline System Expansion Project (SCPX)*. July 4. ხელმისაწვდომია აქ: https://www.bp.com/ka_ge/georgia/home/who-we-are/- -.html. ბოლოჯერ ნანახია 2022 წლის 29 ნოემბერს.
- BP. 2021. *Southern Gas Corridor – project of the century*. ხელმისაწვდომია აქ: <https://www.bp.com/en/global/corporate/news-and-insights/reimagining-energy/southern-gas-corridor-special-feature.html>. ბოლოჯერ ნანახია 2022 წლის 29 ნოემბერს.
- Business Europe. 2021. *EU fit-for-55: direction is right, but the devil is in the details*. ხელმისაწვდომია აქ: <https://www.businesseurope.eu/publications/eu-fit-55-direction-right-devil-details>. ბოლოჯერ ნანახია 2022 წლის 15 მარტს.
- Business Turkmenistan. 2022. *Iran's New Gas Export Pipeline to Azerbaijan Nears Completion*. ხელმისაწვდომია აქ: <https://business.com.tm/post/8985/irans-new-gas-export-pipeline-to-azerbaijan-nears-completion>. ბოლოჯერ ნანახია 2022 წლის 19 სექტემბერს.
- CIVILNET. 2022. *EU-Azerbaijan gas deal sparks accusations of double standards*. ხელმისაწვდომია აქ: <https://www.civilnet.am/en/news/668703/eu-azerbaijan-gas-deal-sparks-accusations-of-double-standards/>. ბოლოჯერ ნანახია 2022 წლის 18 სექტემბერს.
- Congressional Research Service. 2022. *Russia's Nord Stream 2 Natural Gas Pipeline to Germany Halted*. ბოლოჯერ ნანახია 2022 წლის 11 აგვისტოს.
- European Commission. 2022. *EU and Azerbaijan enhance bilateral relations, including energy cooperation*. Brussels. ხელმისაწვდომია აქ: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_22_4550. ბოლოჯერ ნანახია 18 აგვისტოს.
- European Commission. 2014. "European Energy Security Strategy." *Communication From the Commission to the European Parliament and the Council*. Brussels. ხელმისაწვდომია აქ: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52014DC0330&from=FR>. ბოლოჯერ ნანახია 2022 წლის 28 ოქტომბერს.
- European Commission. 2022. "Speech by President von der Leyen at the European Parliament Plenary on Russia's escalation of its war of aggression against Ukraine." Strasbourg. ხელმისაწვდომია აქ: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/speech_22_5964. ბოლოჯერ ნანახია 2022 წლის 30 ოქტომბერს.
- European Commission. 2022. *Statement by President von der Leyen with Azerbaijani President Aliyev*. Baku. ხელმისაწვდომია აქ: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/STATEMENT_22_4583. ბოლოჯერ ნანახია 2022 წლის 30 ოქტომბერს.
- Eurostat. n.d. *Where does our energy come from?* ხელმისაწვდომია აქ: [https://ec.europa.eu/eurostat/cache/infographs/energy/bloc-2a.html#:~:text=In%202020%2C%20the%20energy%20mix,solid%20fossil%20fuels%20\(12%20%25\)](https://ec.europa.eu/eurostat/cache/infographs/energy/bloc-2a.html#:~:text=In%202020%2C%20the%20energy%20mix,solid%20fossil%20fuels%20(12%20%25).). ბოლოჯერ ნანახია: 2022 წლის 16 ოქტომბერს.
- Freedom House. 2022. "Nations in Transit 2022: From Democratic Decline to Authoritarian Aggression." ხელმისაწვდომია აქ: <https://freedomhouse.org/report/nations-transit/2022/from-democratic-decline-to-authoritarian-aggression>. ბოლოჯერ ნანახია 2022 წლის 12 ოქტომბერს.

Muradov, Murad. 2022. *Europe Turns to Azerbaijan for Gas: How Big Could This Be?* Royal United Services Institute (RUSI). ხელმისაწვდომია აქ: <https://www.rusi.org/explore-our-research/publications/commentary/europe-turns-azerbaijan-gas-how-big-could-be>. ბოლოჯერ ნანახია: 2022 წლის 16 ოქტომბერს.

NS Energy. n.d. *Trans Anatolian Natural Gas Pipeline (TANAP)*. ხელმისაწვდომია აქ: <https://www.nsenegybusiness.com/projects/trans-anatolian-natural-gas-pipeline-tanap/#:~:text=TANAP%20gas%20delivery%20capacity,via%20the%20Trans%20Adriatic%20Pipeline>. ბოლოჯერ ნანახია 2022 წლის 12 ოქტომბერს.

Pavlova, Uliana, and Anna Cooban. 2022. *Russia cuts off gas exports to Europe via Nord Stream indefinitely*. CNN Business. ბოლოჯერ ნანახია 2022 წლის 5 ოქტომბერს.

Southern Gas Corridor. n.d. *South Caucasus Pipeline (SCP)*. ხელმისაწვდომია აქ: [https://www.sgc.az/en/project/scp#:~:text=South%20Caucasus%20Pipeline%20\(SCP\)%20%2D%20SGC&text=SCP%20is%20a%20692%20km,field%20to%20Georgian%2DTurkish%20border](https://www.sgc.az/en/project/scp#:~:text=South%20Caucasus%20Pipeline%20(SCP)%20%2D%20SGC&text=SCP%20is%20a%20692%20km,field%20to%20Georgian%2DTurkish%20border). ბოლოჯერ ნანახია 2022 წლის 3 ივლისს.

Statista. 2022. *Natural gas consumption in the European Union from 1998 to 2021*. ხელმისაწვდომია აქ: <https://www.statista.com/statistics/265406/natural-gas-consumption-in-the-eu-in-cubic-meters/>. ბოლოჯერ ნანახია 2022 წლის 30 ოქტომბერს

Statista. 2022. *Natural gas import volume from Russia via Nord Stream in the European Union (EU) from week 1, 2021 to week 35, 2022*. ხელმისაწვდომია აქ: <https://www.statista.com/statistics/1330821/gas-imports-via-nord-stream/>. ბოლოჯერ ნანახია 2022 წლის 15 ოქტომბერს.

TANAP. n.d. ხელმისაწვდომია აქ: <https://www.tanap.com/en/tanap-project>. ბოლოჯერ ნანახია 2022 წლის 18 ოქტომბერს.

The Economist. 2022. *How to deal with Europe's energy crisis: Russia is turning off the gas. Power cuts loom. What should governments do?* ხელმისაწვდომია აქ: <https://www.economist.com/leaders/2022/09/08/how-to-deal-with-europes-energy-crisis>. ბოლოჯერ ნანახია 2022 წლის 20 ოქტომბერს.

The European Council and the Council of the EU. 2020. *Energy Union*. Brussels. ხელმისაწვდომია აქ: <https://www.consilium.europa.eu/en/policies/energy-union/>. ბოლოჯერ ნანახია 2022 წლის 28 ნოემბერს.

Trans Adriatic Pipeline. 2022. *How TAP operates*. ხელმისაწვდომია აქ: [https://www.tap-ag.com/infrastructure-operation/how-tap-operates#:~:text=TAP's%20current%20operational%20capacity%20is,annually%20\(%20bcm%20%2Fa\)](https://www.tap-ag.com/infrastructure-operation/how-tap-operates#:~:text=TAP's%20current%20operational%20capacity%20is,annually%20(%20bcm%20%2Fa)). ბოლოჯერ ნანახია 2022 წლის 30 ნოემბერს.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

პუბლიკაცია მომზადდა „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის - სამხრეთ კავკასიის რეგიონში“ მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის - სამხრეთ კავკასიის რეგიონში“ და „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

ლელა კანკაძე, *“ევროკავშირის სწრაფვა ენერჯის დივერსიფიკაციისკენ: სამხრეთის გაზის დერეფნის შეზღუდვები“*, პოლიტიკის ნარკვევი #46, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, დეკემბერი 2022.